# ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N12

2019 წლის 31 იანვარი
ქ. ქობულეთი

### სს ,,სილქნეტი‘‘-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს ,,სილქნეტი‘‘-ს თანდართული სქემის შესაბამისად ქ.ქობულეთში, თავისუფლების ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ გარე განათების ბოძზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს ,,სილქნეტმა‘‘ უზრუნველყოს საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე　　　　　　　　　　　　　　　　　　დ.მჭედლიშვილი




**კომენტარი**

ასალებია ნებართვები 9 გარე განათების ბოძზე კაბელის მონტაჟის

**პირობითი ნიშნები**

- საპროექტო კაბელი
- არსებული გარე განათების ბოძი
- არსებული სატ ჭა
- არსებული სატ კანალიზაცია

**1-4**

ქ. ქობულეთი თავისუფლების ქ. N 21 მიმდებარედ
2094 პროექტის ფარგლებში ობიექტის P2P ქსელში ჩართვა

სახაზო ნაგებობები

ORM ID: 200400

სანებართვო ესკიზი

7/19/2018

SILKNET

4651300 4651400 4651500

1-4